ხელშეკრულება № 3611S -324
მომსახურების შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი

02 12 2019 წელი

ერთის მხრივ, სს „საქართველოს რკინიგზა" (ს/კ 202886010), წარმოდგენილი მისი კორპორატიული მართვის დეპარტამენტის უფროსის ნინო ჯორბენაძის (22.03.2019 წლის რწმუნებულება №1535)სახით, (შემდგომში „შემსყიდველი"), და მეორეს მხრივ, შპს „თავ ჯორჯია ოპერეიშენ სერვისიზ" (ს/კ206264754), წარმოდგენილი მისი სამსახურის მენეჯერის მაია გილაშვილის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი"), ვხელმძღვანელობთ რა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 17.08.2015 წლის №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მე-3 მუხლის 1 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტისა და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია მომსახურების შესყიდვა, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

2. შესყიდვის ობიექტი

2.1 შემსყიდველის მიერ მოთხოვნილი ოდენობითა და პერიოდულობით, წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე, „მიმწოდებელი" იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს „შემსყიდველი" Prime Pack Arrival და Prime Pack Departure მომსახურების ძირითადი პაკეტით ("პრაიმკლას" CIP მომსახურება) (CPV 79900000), რომელიც მოიცავს შემდეგს: მგზავრების დახვედრა; უფასო საბარგო ურიკის უზრუნველყოფა ბარგის გადატანისას სარეგისტრაციო პუნქტამდე; დახმარების გაწევა რეგისტრაციისას, პასპორტის და საბაჟო შემოწმების/კონტროლის დროს; მომსახურება მოსაცდელ დარბაზში, რომელშიც შედის უკაბელო ინტერნეტით, ფაქსით, პრინტერით, ასლის გადამღებით სარგებლობა, უფასო წახემსება, ალკოჰოლური და გამაგრილებელი სასმელები; საყიდლების დროს დახმარების გაწევა; მისალმება და მიყვანა ჩასხდომის კართან ან საჰაერო ხომალდთან VIP მიკროავტობუსით (გამგზავრების წინა მომსახურების სახეები). ჩამოსვლისას მგზავრის დახვედრა კართან, ან თვითმფრინავთან/საჰაერო ხომალდთან VIP მიკროავტობუსით; დახმარების გაწევა ბარგის გადმოტვირთვის დროს; აგრეთვე, პასპორტის, ვიზისა და საბაჟო კონტროლის/შემოწმების დროს; მგზავრის გაცილება აეროპორტის გარეთ ტრანსპორტამდე (შემდგომში "მომსახურება").

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 დანართის (ფასების ცხრილი) შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს, "პრაიმკლას" CIP მომსახურების ძირითადი პაკეტის, კერძოდ, Prime Pack Arrival ან Prime Pack Departure მომსახურების ერჯერადი ღირებულება ერთ პერსონაზე შეადგენს 127,12 (ას ოცდაშვიდი ევრო და თორმეტი ცენტი) ევროს დღგ-ს გარეშე, ხოლო დღგ-ს ჩათვლით 150 (ას ორმოცდაათი) ევრო.

3.2 წინამდებარე ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს არაუმეტეს 2 000 (ორი ათასი) ევროს დღგ-ს გარეშე, ხოლო დღგ-ს ჩათვლით არაუმეტეს 2 360 (ორი ათას სამას სამოცი) ევრო.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1. „მიმწოდებელი" იძლევა გარანტიას მასზედ, რომ მის მიერ მომსახურება განხორციელდება შეუფერხებლად, დროულად და ხარისხიანად.

5. მომსახურების განხორციელების პირობები

5.1. მომსახურება განხორციელდება შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, ხელშეკრულების გაფორმებიდან 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

5.2. მომსახურეობის განხორციელების ადგილია: მისამართი: ქ. თბილისი, სამგორის რაიონი, აეროპორტი (შპს „თავ ჯორჯია ოფერეიშენ").

5.3. ხელშეკრულების ადმინისტრატორად განისაზღვრა: ნატო ცომაია, ტელ: 577 66 10 13.

5.4 შემსყიდველი ვალდებულია მომსახურების გაწევის თაობაზე ინფორმაცია წერილობით ფორმით (ელ. ფოსტა) აცნობოს მიმწოდებელს, მინიმუმ 6 (ექვსი) საათით ადრე. აღნიშნულ წერილში უნდა მიეთითოს მგზავრების ვინაობა და ზუსტი ოდენობა, ფრენის დეტალები და მგზავრთა აეროპორტში მოსვლის დრო. ხოლო მიმწოდებელი კისრულობს ვალდებულებას აცნობოს პასუხი შემსყიდველს წერილობით (ელ. ფოსტა), გაფრთხილებიდან ერთი საათის განმავლობაში.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. მომსახურების მიღება მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების გზით, რომელიც დგება ფაქტიურად განხორციელებული მომსახურების მიხედვით და დასტურდება მხარეთა მიერ ამისათვის სათანადოდ უფლებამოსილი პირების ხელმოწერებით.

6.1.1. შემსყიდველის მხრიდან, განხორციელებული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს:

- სამეურნეო უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

6.2. მიღება-ჩაბარების აქტი დგება ოთხ ეგზემპლიარად, რომელთაგან სამი გადაეცემა შემსყიდველს, ხოლო ერთი – მიმწოდებელს.

6.3 მიღება-ჩაბარების აქტის შედგენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს წარუდგინოს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა.

7. ანგარიშსწორება

7.1. ანგარიშსწორების ფორმა: უნაღდო ანგარიშსწორება, კონსიგნაციით, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით ეროვნულ ვალუტაში, ფაქტიურად განხორციელებული მომსახურების მიხედვით.

7.2. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის შედგენიდან 20 (ოცი) საბანკო დღის ვადაში.

7.3 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება შემდეგი დოკუმენტების საფუძველზე:

- მიღება-ჩაბარების აქტი (დედანი);
- 5.4 პუნქტით გათვალისწინებული წერილობითი მიმართვის ასლი;
- წარმომადგენლობითი ხარჯის გაწევის თაობაზე ბრძანება;
- საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა.

7.4. შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის მოთხოვნის შემთხვევაში საბოლოო ანგარიშსწორებამდე მხარეები ადგენენ ურთიერთშედარების აქტს.

8. „შემსყიდველის" უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს, მოსთხოვოს მიმწოდებელს მომსახურების შეუფერხებელი გაწევა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიმწოდებელის ყველა და ნებისმიერი ვალდებულების შესრულება და შემსყიდველის წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებების რეალიზაციისათვის ხელშეწყობა.

8.2. შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ღირებულება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

9. „მიმწოდებლის" უფლება-მოვალეობანი

9.1. ,,მიმწოდებელი" უზრუნველყოფს ,,შემსყიდველის" შეუფერხებელ მომსახურებას ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2020 წლის 31 მარტის ჩათვლით.

11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცილების შემთხვევაში, ყოველი დაგვიანებული დღისთვის, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების (დღგ-ს გარეშე) 0,1 %-ის ოდენობით, რომელიც გაანგარიშებულ იქნება ევროში და მოთხოვნილი (გაქვითული) იქნება ქართულ ლარში მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღის, ან ასეთის არ არსებობის შემთხვევაში, შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების შეწყვეტის დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ლარის ევროსთან ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, ამასთან, პირგასამტეხლოს დარიცხა შეწყდება მას შემდეგ, რაც დარიცხული თანხა მიაღწევს ხელშეკრულების საერთო ღირებულების (დღგ-ს გარეშე) 5 %-ს.

11.2 იმ შემთხვევაში თუ ვადების გადაცილებისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების (დღგ-ს გარეშე) 3 %, მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

11.3 ხელშეკრულების ფარგლებში გათვალისწინებული პირგასამტეხლოს მაქსიმალური ზღვრული ოდენობა, რომელიც შეიძლება დაეკისროს მიმწოდებელს, შეადგენს ხელშეკრულების ღირებულების (დღგ-ს გარეშე) არაუმეტეს 5%-ს.

12. ფორს-მაჟორი

12.1 წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე არც ერთი მხარე არ აგებს პასუხს მეორე მხარის წინაშე და თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან საკუთარი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების გამო, თუ ამის მიზეზი გახდა საგანგებო ხასიათის მქონე გადაულახავი ძალა, რომლის წარმოშობაზე ხელშეკრულების მონაწილე მხარეები პასუხს არ აგებენ და რომლის არსებობის ან წარმოშობის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულების დადების მომენტში არ შეეძლოთ სცოდნოდათ.

12.2 გადაულახავ ძალად ჩაითვლება შემდეგი (და არა მხოლოდ):

ა) სტიქიური უბედურებანი (ხანძარი, წყალდიდობა, მიწისძვრა, შტორმი და სხვა);

ბ) გამოცხადებული ან გამოუცხადებელი ომი, სამოქალაქო არეულობა, ნებისმიერი სახის საომარი მოქმედებები, საგანგებო მდგომარეობა;

გ) ეპიდემიები;

დ) ბლოკადა ან ნებისმიერი ეკონომიკური ემბარგო;

ე) ხელისუფლების ნებისმიერი ერთეულის ან ხელისუფლების მიერ საამისოდ კომპეტენტურად განსაზღვრული ორგანოს გადაწყვეტილება და ისეთი ნორმატიული აქტების გამოცემა, რომლებიც ზემოქმედებენ მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და ცვლიან, წყვეტენ ან აჩერებენ წინამდებარე ხელშეკრულების დებულებებსა და პირობებს.

12.3. ფორს-მაჟორული მოვლენა დადასტურებული უნდა იქნეს კომპეტენტური ორგანოს მიერ.

12.4. ფორს-მაჟორული მოვლენების წარმოშობის შესახებ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის ხელთ არსებული საკომუნიკაციო საშუალებებით (ტელეფონი, ფოსტა, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა, კურიერი და სხვა) და წარუდგინოს კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული ცნობა ფორს-მაჟორული გარემოების არსებობისა და ხანგრძლივობის მითითებით.

12.5. ფორს-მაჟორული გარემოებების შეწყვეტისთანავე მხარეები დაუყოვნებლივ აგრძელებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

12.6. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის პირობებში, ვალდებულებების შესრულების პერიოდი შეჩერდება იმ დროით, რა დროსაც გასტანა ასეთმა გარემოებებმა, თუ მხარეთა შორის არ იქნა მიღწეული სხვაგვარი შეთანხმება.
თუ მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, თითოეული მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, შეწყვეტის სავარაუდო თარიღამდე არანაკლებ ორი კვირით ადრე წერილობითი შეტყობინების გაგზავნით (ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით) ან სხვა ხელმისაწვდომი საშუალებით, რომელიც მიწოდებული იქნება მხარის მიერ იმ მისამართზე, რომელიც მითითებულ იქნა მეორე მხარის პირველადი რეგისტრაციის დროს.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

14.1. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15. სხვა პირობები

15.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზიანს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
15.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და ვალდებულებები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
15.3 ნებისმიერი მხარე იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუ ის 2 კვირით ადრე წერილობით შეატყობინებს მეორე მხარეს ამის შესახებ.
15.4 ყველა ის შემთხვევა და პირობა, რომელიც გათვალისწინებული არ არის წინამდებარე ხელშეკრულებით, განიხილება და გადაწყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
15.5 წინამდებარე ხელშეკრულების ყველა პირობა და დებულება ვრცელდება და სავალდებულოა მხარეთა უფლებამონაცვლეთათვის, სამართალ-მემკვიდრეთათვის, წარმომადგენელთათვის, რწმუნებულებისა დ მუშაკებისთვის.
15.6 წინამდებარე ხელსეკრულება მოიცავს მხარეთა შორის არსებულ ყველა წინასწარ შეთანხმებას და შესაბამისად წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე ძალას კარგავს მხარეთა შორის წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერამდე არსებული და წინამდებარე ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი, მიმოწერა და ზეპირი შეთანხმება.
15.7 წინამდებარე ხელშეკრულების ყველა დამატება, ცვლილება და შესწორების ყველა დანართი წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
15.8 თუ წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შეიცვლება წინამდებარე ხელშეკრულების მე-16 მუხლში მითითებული რომელიმე რეკვიზიტი, მხარე ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს აღნიშნულის შესახებ მეორე მხარეს.
15.9 მოქმედი კანონმდებლობის ცვლილება, რომელიც ცვლის ან აუქმებს წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე დებულებას, არ იწვევს მთლიანად ხელშეკრულების გაუქმებას.
15.10. მხარეებს შეუძლიათ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ორმხრივად შეწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულება მისი მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე.
15.11. „შემსყიდველს“ უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება მისი მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე, ან უარი განაცხადოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების

შესრულებაზე, თუ ,,მიმწოდებელი" არ ასრულებს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებულ ვალდებულებებს.

15.12. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.13. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები:

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
სს «საქართველოს რკინიგზა"	შპს „თავ ჯორჯია ოპერეიშენ სერვისიზ"
ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი №15	ქ. თბილისი, სამგორის რაიონი, აეროპორტი
ს/კ 202886010	ს/კ 206264754
სს ,,საქართველოს ბანკი"	სს „თიბისი ბანკი"
ბანკის კოდი: BAGAGE22	ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ა GE09BG0000000128695301	ანგარიშის GE29TB1194736080100001
	ტელ: 2 310470; 599 124102
ნინო ჯორბენაძე კორპორატიული მართვის დეპარტამენტის უფროსი	მაია გილაშვილი სამსახურის მენეჯერი

1	ხელშეკრულება №		3	ხელშეკრულების საგანი: CIP მომსახურების შესყიდვა (სტუმრების დახვედრა გაცილება)
2	კონტრაგენტი	შპს "თავ ჯორჯია ოპერეიშნ სერვაისიზ"	4	მიმღები დეპ/სამ. კორპორატიული მართვის დეპარტამენტი

ხელშეკრულების რანგი	კურატორი დირექტორის მიერ განსაზღვრული			გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცებული		
	რანგი			რანგი		
	I □	II □	III □	I □	II □	III □

5	ხელშეკრულების ადმინისტრატორი	სამეურნეო უზრუნველყოფის სამსახურის წამყვანი სპეციალისტი		
		თანამდებობა		
		ნატო ცომაია	ნ. ცომაია	
		გვარი, სახელი	ხელმოწერა	თარიღი
6	დირექტორი	დავით ბაბუნაშვილი		
		გვარი, სახელი	ხელმოწერა	თარიღი

შპს "თავ ჯორჯია ოპერეიშენ სერვისიზ"

TAV OPERATION SERVICES

№ 293

"23" 10 "2019წ.

სს "საქართველოს რკინიგზა"-ს

„primclass" CIP მომსახურების ძირითადი პაკეტით სარგებლობის ფასები

Prime Pack Arrival - თითო მგზავრის მომსახურება 150 (ას ორმოცდაათი) ევროს (დღგ-ს ჩათვლით) ექვივალენტური თანხა ეროვნულ ვალუტაში, გაწეული მომსახურების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური კურსის შესაბამისად.

Prime Pack Departure - თითო მგზავრის მომსახურება 150 (ას ორმოცდაათი) ევროს (დღგ-ს ჩათვლით) ექვივალენტური თანხა ეროვნულ ვალუტაში, გაწეული მომსახურების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური კურსის შესაბამისად.

6 (ექვს) წლამდე ბავშვების (თანმხლებ პირებთან ერთად) მომსახურება უფასოა.

შ.პ.ს „თავ ჯორჯია ოპერეიშენ სერვისიზ"
სამსახურის მენეჯერი

მაია გილაშვილი

GEORGIA TAV GEORGIA OPERATION SERVICES LLC TBILISI 206294754

TAV Georgia Operation Services LLC
Tbilisi & Batumi International Airports ,Georgia
Tbilisi Tel : (+995) 322 310 330 Fax : (+995) 322 310 331
Batumi Tel: (+995) 422 23 51 11 Fax : (+995) 422 23 51 12